ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 01-03-141

ქ. თბილისი 12 ოქტომბერი 2022 წელი

შემსყიდველი: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დავით ხვედელიძის სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №5;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22.

მიმწოდებელი: შპს „სივრცე“, წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ვაშაკიძის სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ., კორ. N 25, ბ. 57;
საიდენტიფიკაციო კოდი: 400179089;
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22, ა/ა: GE93BG0000000672113300.

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, ჩატარებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე NAT220019408 საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება.
1.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებილების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის ღონისძიების ორგანიზების მომსახურება (CPV 79952000 - ღონისძიებების ორგანიზება) დანართი N 1-ის შესაბამისად.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;
3.2. შესასყიდი მომსახურების ღირებულება (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“) შეადგენს 115864.20 (ას თხუთმეტი ათას რვაას სამოცდა ოთხი ლარი და 20 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;
3.3 გასაწევი მომსახურების დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ N 1-ში;
3.4 **დაფინანსების წყარო:** სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და ევროკომისიას შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებლი პროგრამის „სკოლის მასწავლებელთა ონლაინ სისტემაში ჩართვა და

დამეგობრება ევროპის ქვეყნების მასწავლებლებთან (eTwinning Plus)“ მიზნობრივი გრანტის დაფინანსების ფარგლებში.

მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება ყველა მოქმედ სტანდარტებს და ნორმებს;
4.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ გაწეული მომსახურება იქნება უნაკლო.

მუხლი 5. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება: 2022 წლის 14-16 ოქტომბერი;
5.2 მომსახურების გაწევის ადგილი: თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი იყალთო.

მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
6.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით;
6.3 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის ფუნქციების დროებით შემსრულებელს ნიკო გიგოლაშვილს. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა;
7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;
7.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველი” ვალდებულია:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს” გაწეული მომსახურების ღირებულება;
8.1.2 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

8.2 „შემსყიდველს” უფლება აქვს:

8.2.1 შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის” მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;
8.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;
8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:
8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
8.3.2 კვალიფიციურად გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული მომსახურება;
8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
8.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;
8.3.5 საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლი;
8.3.6 წარუდგინოს შემსყიდველს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.
8.4 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.4.1 წარუდგინოს შემსყიდველს ფაქტიურად გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია, რომელსაც ხელი მოეწერება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის მიერ ხარისხობრივი შემოწმების შემდეგ და მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
8.4.2 მოსთხოვოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
8.4.3 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 % -ის ოდენობით;
9.2. მიმწოდებლის მიერ ხელსეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) % -ის ოდენობით;
9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი)%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;
9.4. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება;
10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ინსპექტირების ჩატარებისათვის ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ

შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი;
10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;
10.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დემოკრატიული კულტურის, ადამიანის უფლებების სწავლებისა და სასკოლო ქსელების (eTwinning) გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი ხატია მატკავა.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;
11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი.
11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
11.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;
12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;
12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 13. ფორსმაჟორი.

13.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული

გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;
13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;
13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების
და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;
15.2 თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელ" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
16.3 მესამე პირთან (პირებთან) ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
16.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;
16.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას;
16.6 დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად;

16.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
16.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
16.9 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად. მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელისმოწერა ანდა შტამპი;
16.10 გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს;
16.11 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 17. მხარეთა ხელმოწერები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	შპს „სივრცე"
დავით ხვედელიძე დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებელი	**თამარ ვაშაკიძე** დირექტორი

დანართი N 1

N	დასახელება	აღწერილობა	რაოდენობა		ერთეულ ის ფასი	საერთო ფასი
			ერთეული	დღე/ღამე		
1	საკონფერენციო დარბაზი	დარბაზი ღონისძიების პირველ და მეორე დღეს (14,15 ოქტომბერს) შემდეგი მახასიათებლებით: მონაწილეთა რაოდენობა 130 (ასოცდაათი) პერსონა, დარბაზის ერთ ნაწილში უნდა იყოს სცენა (სიმაღლე 30-35 სმ, სიგანე 4-6 მ, სიგრძე 6-10 მ) , ხოლო სკამები განლაგებული უნდა იყოს თეატრალური წყობით 130 (ასოცდაათი) სკამი, მათ შორის 5 ცალი VIP სკამი ან სავარძელი პირველი დღისთვის. დარბაზში უნდა იყოს ტრიბუნა - 1 (ერთი) ცალი. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს განათება პირველ და მეორე დღეს დღეს. აუცილებელია საკონფერენციო სივრცეში უზრუნველყოფილი იყოს wifi - ით	1	2	3776.00	7552.00
2	დარბაზი სესიებისთვის/მას ტერ კლასებისთვის	3 დღის განმავლობაში (14-15-16 ოქტომბერს). თითოეული დარბაზის ტევადობა 25-25 პერსონა. დარბაზებში უნდა იყოს განთავსებული დამსწრეთათვის შესაბამისი რაოდენობის სკამები და მაგიდები. მონაწილეები უნდა ისხდნენ მაგიდებთან. თითოეულ დარბაზში აუცილებელია იყოს პროექტორი, ეკრანი და ლეპტოპი. თითოეულ მონაწილეს უნდა შეეძლოს მაგიდასთან ნოუთბუქით სარგებლობა, რისთვისაც გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი ელექტრო მომარაგება. აუცილებელია დარბაზები უზრუნველყოფილი იყოს wifi - ით	4	3	708.00	8496.00
3	ოთახი კონფერენციის ორგანიზატორები სთვის	კონფერენციის მასალების დასაწყობად. ოთახი უნდა იყოს აღჭურვილი 1 ლეპტოპით, 1 პრინტერით და wifi-ით. ოთახი უნდა იყოს საკონფერენციო დარბაზთან ახლოს.	1	3	472.00	1416.00
4	გახმოვანება	მიკროფონი უკაბელო (ხელის) პირველ და მეორე დღეს. დინამიკი - რაოდენობა საჭიროებისამებრ ოთახების ზომის მიხედვით,	2	2	944	3776

5	ეკრანი პროექტორისთვის სულ 4 ცალი	პირველ, მეორე და მესამე დღეს 4 ცალი მინიმუმ 4მX3მზე	4	3	590	7080
6	დიოდური ეკრანი	დიოდური ეკრანი (ზომა - 4მ X 3 მ) პირველ და მეორე დღეს	1	2	2832	5664
7	ლეპტოპი მოთხოვნის შესაბამისად	პირველ დღეს მიმწოდებელს საკონფერენციო დარბაზში უნდა ჰქონდეს არაუმეტეს 5 ცალი ლეპტოპი. პირველ, მეორე და მესამე დღეს არაუმეტეს 5 ლეპტოპი განთავსებული უნდა იყოს დარბაზებში სპიკერებისთვის. მითიტებულ 5 ლეპტოპლში არ შედისის ლეპტოპები, რომლებიც საჭიროა ტექნიკური უზრუნველყოფისათვის	5	3	118	1770
8	პროექტორი პულტით		5	3	177	2655
9	Flip Chart-ს დაფა		8		118	944
					სულ	39353
		დაბინავება, ტრანსპორტირება და ექსკურსია				
1	სასტუმროში ღამისთევა	ერთ ადგილიანი 20 ნომერი. დანარჩენი სტუმრები გადანაწილდნენ 2 და 3 ადგილიანი ნომრები სასტუმროში განთავსება 2022 წლის 14 ოქტომბერს. სასტუმროს დატოვება - 2022 წლის 16 ოქტომბერს	56	2	177.00	19824.00
2	სინქრონული თარგმნანი	პირველ დღეს	1		2950.00	2950.00
					სულ	22774.00
		კვებითი მომსახურება				
1	Welcome coffee. 14 ოქტომბერს	130 პერსონა	130	1	23.60	3068.00
2	ლანჩი, 14, 15 ოქტომბერი	130 პერსონა	130	2	41.30	10738.00
3	ვახშამი , 14, 15 ოქტომბერს	120 პერსონა	120	2	41.30	9912.00
4	საუზმე , 15-16 ოქტომებრი	120 პერსონა	120	2	29.50	7080.00
6	ყავის შესვენება, 15-16 ოქტომბერი	120 პერსონა	120	2	23.60	5664.00
					სულ	36462.00

საუზმის, ლანჩის, ვახშმის და ყავაჩაის სპეციფიკაცია		
1	პირველი დღე: ლანჩი, ვახშამი,Welcome coffee 1,	Welcome coffee-ს მახასიათებელი: შვედური მაგიდა ყავა და ჩაი, უალკოჰოლო სასმელები-ნატურალური წვენი და მინერალური წყლები. 5 სახეობის ნამცხვარი ან სხვა სახის ტკბილეული.
		საუზმის, ლანჩის და ვახშამის მახასიათებელი: შვედური მაგიდა, ცივი და ცხელი კერძები-ბოსტნეული ხორცეული, თევზეული, ყველის და ძეხვის ასორტი ცომეული, უალკოჰოლო სასმელები, სეზონური ხილი, დესერტი.
2	მეორე დღე: საუზმე, ლანჩი 1, ყავის შესვენება 1, ვახშამი	**საუზმის და ლანჩის მახასიათებელი:** შვედური მაგიდა, ცივი და ცხელი კერძები-ბოსტნეული ხორცეული, თევზეული, ყველის და ძეხვის ასორტი ცომეული, უალკოჰოლო სასმელები, სეზონური ხილი, დესერტი. **ყავის შესვენების მახასიათებელი:** შვედური მაგიდა ყავა და ჩაის, უალკოჰოლო სასმელები 5 სახეობის ნამცხვარი
3	მე-3 დღე: საუზმე და ყავის შესვენება	**საუზმის და ლანჩის მახასიათებელი:** შვედური მაგიდა, ცივი და ცხელი კერძები-ბოსტნეული ხორცეული, თევზეული, ყველის და ძეხვის ასორტი ცომეული, უალკოჰოლო სასმელები, სეზონური ხილი, დესერტი. **ყავის შესვენების მახასიათებელი:** შვედური მაგიდა ყავა/ ჩაის, უალკოჰოლო სასმელები 5 სახეობის ნამცხვარი

ნაბეჭდი მასალა					
1	დიდი ნაბეჭდი	1. დიდი ნაბეჭდი ბანერი პოდიუმის უკან დასადგმელი პირველ დღეს დიდი ნაბეჭდი ბანერი პოდიუმის უკან დასადგმელი პირველ დღეს (განი 6 მ-დან 10 მ-მდე. სიმაღლე 3 მ-დან 6 მ-მდე. (ზომები დამზადებამდე უნდა დაზუსტდეს შემსყიდველთან) სპეციალურად ღონისძიების დღისთვის შემუშავებული დიზაინის ერთიანი კონცეფციის მიხედვით; მასალა - ვინილი, ფერადი (CMYK 4+0).	1	2124.00	2124.00

		ბანერს თან უნდა ახლდეს რკინის ან ხის მყარი კონსტრუქცია ბანერის დასაკიდებლად/გადასაჭიმად			
5	ბეიჯი	სახელის და გვარის აღმნიშვნელი თოკით, შიგთავსი ფერადი და წინასწარ გადაცემული სახელობითი სიის მიხედვით დაბეჭდილი, უნდა იყოს ჩალაგებული ბეიჯში) საკიდზე დატანილი ლოგოთი სპეციალურად ღონისძიების დღისთვის შემუშავებული დიზაინის ერთიანი კონცეფციის მიხედვით. ერთ მხარეს უნდა იყოს სახელი და გვარი, მეორე მხარეს დღის წესრიგი.	100	8.26	826.00
6	ბლოკნოტი		130	4.72	613.60
	პოსტერი და ტრიპლეტი	პოსტერი: ზომა 50x70, ფურცელი 170 გრ. არაპრიალა ცარცი, ბეჭდვა CMYK (4+0) ტრიპლეტი: ზომა A4, სამნაწილად გაკეცილი, ქაღალდი 170 გრ. არაპრიალა ცარცი, ბეჭდვა CMYK (4+0)	130	5.90	767.00
8	ნაჭრის ჩანთა	სავარაუდო ზომა: 30სმX40სმ; ბრენდირება: ორმაგი თერმო ბეჭდვა, ფერადი: შემსყიდველის და პროგრამის ლოგოები, ვებ გვერდის მისამართი. ფერი შეთანხმებით	130	29.50	3835.00
				სულ	8165.60
		სხვა თანმდევი მომსახურება			
1	ღონისძიების მენეჯერი,	1 პერსონა. გამოცდილება მინიმუმ 2 (ორი) წლიანი ანალოგიურ საქმიანობაში. ევალება: ღონიძიების ორგანიზება, კომუნიკაცია უცხოელ სტუმრებთან, მოთხოვნის შემთხვევაში მათთვის ხელშეკრულებისა და ინვოისის მომზადება/ გაგზავნა. სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია, საკონფერენციო დარბაზის მოწყობა, სასაჩუქრე კრებულის გადაცემა სტუმრებისთვის, პასუხისმგებლობა ყველა იმ საკითხზე რაც საჭიროა ღონისძიების ორგანიზებისთვის	1	1652.00	1652.00
	ტრანსპორტი	ტრანსპორტით უზრუნველყოფა 14 და 16 ოქტომბერს. მიმართულება თბილისიდან სასტუმროში და 16 ოქტომბერს სასტუმროდან თბილისის მიმარტულებით.	5310.00		5310.00

2	დამხმარე მუშა	საჭიროებიდან გამომდინარე (უნდა უზრუნველყონ დარბაზის მოწყობა, ბანერების, სტენდის აწყობა და მათი განთავსება, ასევე სხვადასხვა ნივთების გადაადგილება შემსყიდველის მითითებით)	3	177.00	531.00
3	ფოტოგრაფი სამივე დღეს და		1	1616.60	1616.60
					9109.60
				საერთო ფასი	115864.20

მხარეთა ხელმოწერები

„შემსყიდველი"

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი

დავით ხვედელიძე
დირექტორის ფუნქციების დროებით
შემსრულებელი

„მიმწოდებელი"

შპს „სივრცე"

თამარ ვაშაკიძე

დირექტორი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებლის მიმართ (შპს „სივრცე") არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებელი _____

/დ. ხვედელიძე/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსის ფუნქციების დროებით შემსრულებელი _____

/ნ. გიგოლაშვილი/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული

_____

/ხატია მატკava/

დემოკრატიული კულტურის, ადამიანის უფლებების სწავლებისა

და სასკოლო ქსელების (eTwinning) გაძლიერების

ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი